ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

როგორ გვეხმარება ლიტერატურა ჩვენი თავის უკეთ შეცნობაში, ანუ ,,კაცური კაცობის", მოქალაქეობრივი ღირებულების საკითხი ,,ოთარაანთ ქვრივის" სწავლებისას

ირმა კრაველიძე
ჭალის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ანოტაცია
ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემები ყოველთვის აფიქრდებათ ყველა დროის მოწინავე მოაზროვნეებს. ილია ჭავჭავაძე წერდა: ,,ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონებისა და გაწურთნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელადო", ამიტომ ბავშვის აღზრდა და მისი განვითარება ერთმანეთისაგან განუყოფელი პროცესია...იგი პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს, რადგან მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მისივე აღზრდილია...
მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის, მათი ზნეობრივი და მორალური აღზრდის საკითხების წარმოჩენა, ჩემი აზრით, ყველაზე ფართოდ და მასიურად მხატვრული ნაწარმოების ტექსტუალურად შესწავლის დროს ხდება, ამიტომ საჭიროა მეტი გულისხმიერებით განვიხილოთ, ქართველ კლასიკოსთა ლიტერატურული მემკვიდრეობანი და ასევე-ტრადიციული ეროვნული შეხედულებები.

საკვანძო სიტყვები: *ლიტერატურა, მომავალი თაობის აღზრდა, მშობლები და შვილები*

შესავალი - ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემები ყოველთვის აფიქრდებათ ყველა დროის მოწინავე მოაზროვნეებს. ილია ჭავჭავაძე წერდა: ,,ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონებისა და გაწურთნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელადო", ამიტომ ბავშვის აღზრდა და მისი განვითარება ერთმანეთისაგან განუყოფელი პროცესია...იგი პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს, რადგან მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მისივე აღზრდილია...
მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის, მათი ზნეობრივი და მორალური აღზრდის საკითხების წარმოჩენა, ჩემი აზრით, ყველაზე ფართოდ და მასიურად მხატვრული ნაწარმოების ტექსტუალურად შესწავლის დროს ხდება, ამიტომ საჭიროა მეტი გულისხმიერებით განვიხილოთ, ქართველ კლასიკოსთა ლიტერატურული მემკვიდრეობანი და ასევე-ტრადიციული ეროვნული შეხედულებები.
ყველა მშობელმა და მასწავლებელმა კარგად იცის, რომ ზემოქმედების ერთი და იგივე ზომები: გაჯავრება, დასჯა, დასაჩუქრება და ა.შ. არამც თუ სხვადასხვა ოჯახის, არამედ

ISSN 1512-1801

სხვადასხვა დროს ერთი და იმავე ბავშვის მიმართაც განსხვავებულ, ზოგჯერ ურთიერთსა წინააღმდეგო შედეგს იძლევა, ამიტომ აუცილებელია საფუძვლიანად ვიცოდეთ მშობლებმა, შვილების მასწავლებელმა კი მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესები და მოთხოვნილებები.

იცნობენ თუ არა მშობლები თავიანთ შვილებს? სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში, (უმეტეს შემთხვევაში) მშობლისა და შვილის ურთიერთობა გაუცხოებულია, ამიტომ ხშირად ახალგაზრდები უამრავ წინააღმდეგობას აწყდებიან, რაც განპირობებულია ისევ და ისევ სადღეისოდ დამკვიდრებული ცხოვრების წესით. ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე შვილები მშობლებისაგან დამოუკიდებლად იზრდებიან, ამიტომ მათში ნაკლებადაა პასუხისმგებლობა ოჯახისა და მშობლების წინაშე. ამდენად აღარ უნდა გვიკვირდეს,რომ დღეს განსაკუთრებული სიმწვავით დგას მშობლებისა და შვილების ურთიერთობა.

პრობლემა:

ავტორის, ილაი ჭავჭავაძის, მინიშნება, რომ გიორგის შემორჩა ,,ძველი, ტრადიციული ზნეობა", დასანანია, რომ უკვე აღარაა საყოველთაო, უფრო მეტიც, ,,ოთარაანთ ქვრივის" გმირ გიორგისადმი მოსწავლეებს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გააჩნიათ. აქვთ მოსაზრება, რომ მან ,,დაივიწყა თავისი მოვალეობა", ,,ვერ გაუგო" დედას, ჰქონდა ,,ამპარტავნული და სხვათა განკითხვის მოყვარული ბუნება", იყო ,,დაბეჩავებული" და სხვა

ზოგიერთისთვის უცხოა, რომ გიორგი დიდ პატივს სცემს დედას. ,,თითქოს მისი ყურმოჭრული ყმა იყო"', დედის ,,უნებურს თავის დღეში არ ინდომებდა";

მიზანი:

როგორც კლასის ხელმძღვანელმა, საჭიროდ მივიჩნიე, ნაწარმოების დასრულებისა და ფილმის ჩვენების შემდეგ, კვლავ დავბრუნებოდი გიორგის მხატვრული სახის დეტალურ განხილვას, და ილიასეული კონცეფციით ,,ჭეშმარიტი კაცობის" სახის ჩვენებას, რათა კვლევის შედეგად ზოგიერთი რამ ბევრად უფრო თვალსაჩინო და ნათელი გამეხადა ჩემთვის, მშობლებისთვისა და მოსწავლეებისათვის.

ამოცანები:

- დააკავშირონ ერთმანეთთან მოთხრობა და თანამედროვე სამყარო.
- ითანამშრომლონ თანატოლებთან,მშობლებთან და საზოგადოების წევრებთან.
- შეადგინონ კითხვები, მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი და როლური თამაშით წარმოაჩინონ ცოდნა და გაუზიარონ აუდიტორიას.

მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა:

ფილმის ჩვენენების შემდეგ, მოსწავლეებს ვავალებ ამოკრიბონ ნაწარმოებიდან გიორგის დამახასიათებელი თვისებები, თავისივე არგუმენტებით და კლასში იმსჯელონ: როგორ მოიქცეოდნენ მსგავს სიტუაციასში, ანუ უპასუხონ კითხვას ,, ვინ ვარ მე" ... (შეუძლიათ წერილობით ჩამოაყალიბონ სათქმელი.) დამხმარე რესურსად შემაქვს ილია ჭავჭავაძის დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი წერილი: ,,ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონა მადლისა, კაცური კაცობის ნიშანი მინიმუმი სათნოება კი არ არის,

ISSN 1512-1801

რომელიც არცოდვის საზღვარია, არამედ მაქსიმუმი, რომელიც მადლის სამფლობელოა და საუფლოსწულო. .... ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც ეგ ღონე და შეძლება აქვს, იგი მით ნაწილია ყველასი... იმიტომ, რომ იგი ჩემს, თქვენს, სხვის ბედნიარებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავის საკუთარ ბედნიერებას. ... ეს ისეთი ძნელი გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლებიანი გზაა, რომ თითოეული ნაბიჯი ღვაწლია და მსხვერპლი" ილიას ,, კაცთა საზოგადოების" (სამოქალაქო საზოგადოების) არსებობისათვის აუცილებელ საფუძვლად ხომ ,,თვითგანკითხვა" მიაჩნია.

აქედან გამომდინარე მოსწავლეები მსჯელობენ გიორგის შემდეგ თვისებებზე:

1. გიროგის ძლიერ აღნაგობასა და სანდომიან შესახედაობაზე. იერსახის ,, მარილიანობაზე",
2. გიორგის ჩაცმულობის, სისუფთავისა და მოწესრიგებულობის შესახებ
3. გიორგის თვისებათაგან პირველ რიგში ყურადღებას აქცევენ მის შრომისმოყვარეობას. მისი ასეთი თავდადებული შრომის მიზანი არც გამდიდრების დაუოკებელი სურვილია, არც ანგარება ან თავმოწონება. შრომა მისი ცხოვრების წესია.
4. გარდა იმისა, რომ თავის საქმეს პირნათლად ასრულებს, გიორგი ხშირად სხვის საკეთებელსაც დაუზარებლად ტვირთულობს.
5. ,,მართალს შერჩეულს თვითონაც მართალი უყვარდაო" ვკითხულობთ გიორგის შესახებ. ტყუილი სასტიკად ეჯავრება. ამას მოწმობს მეზობლების სიტყვები: ,,ოთარაანთ გიორგის რა მოწმე უნდაო?"
6. გიორგის სხვის საქმეზეც ისევე შესტკივა გული, როგორც საკუთარზე. არა აქვს მნიშვნელობა, ვისი კამეჩები იხრჩობა, ვისი ჯეჯილი ფუჭდება, ვის ატყუებს მოჯამაგირე, იგი ყველგან ისეთი გულით ცდილობს საქმის გამოსწორებას, თითქოს ეს ყველაფერი პირადად მას აყენებდეს ზიანს.
7. საზოგადო ჭირის მიმართ გიროგი არ არის გულგრილი. იგი მწვავედ განიცდის ადამიანთა შორის გაბატონებულ უნდობლობასა და უპატივცემულობას. ამას მოწმობს მის მიერ ომარაშვილის მოჯამაგირის შესახებ ნათქვამი: ,,მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ვეღარა ჰნდობიაო"
8. გიროგი კაცს ვაჟკაცობით აფასებს, მაგრამ ამ ცნებაში მხოლოდ სიმამაცესა და ფიზიკურ ძლიერებას არ გულისხმობს. მისთვის ვაჟკაცობა ადამიანის ზნეობრივი სახე უფროა, ვიდრე ფიზიკური.

ამ ტექსტუალურ დეტალებს მოსწავლეები უპირისპირებენ საკუთარ და ზოგადად, რეალობაში არსებულ სიტუაციებს, ავლებენ პარალელებს, მსჯელობენ პრობლემის არსზე და მათი გამოსწორების გზებზე.

მეტად საყურადღებოა გიორგის დამოკიდებულება დედისადმი, დედა-შვილური ურთიერთობის განხილვას, კიდევ ერთ გაკვეთილს ვუთმობ და კვლავ სახალისო და საინტერესო დავალებას ვთავაზობ მოსწავლეებს. კლასს ვყოფ ორ ჯგუფად, მშობლებად და შვილებად და ვავალებ, რომ წარმოადგინონ თავიანთი კითხვები, როგორც მშობლების, ისე

ISSN 1512-1801

შვილების პოზიციიდან, შემდეგ გაცვალონ როლები და თუ სურვილი ექნებათ მომდევნო გაკვეთილისთვის მშობლებიც წამოიყვანონ გაკვეთილზე დასასწრებად.

მსჯელობის, საინტერესო კითხვარებისა და პასუხების შემდეგ, რა თქმა უნდა, განიხილავენ გიორგის ქმედებას, სახლიდან წასვლასთან დაკავშირებით და ცხარე კამათის მიუხედავად, ჩემი დახმარებით მიდიან იმ დასკვნამდე, რომ შინიდან წასვლა დედის უსიყვარულობად არ უნდა ჩავუთვალოთ გიორგის. დედაშვილურ ურთიერთობაში არსებობს ერთგვარი კანონზომიერება, მშობელი ზრდის ყრმას და უზიარებს ყველაფერს, რისი მიცემაც შეუძლია, მაგრამ როცა შვილი ამ ცოდნითა და მადლით აღივსება, მას სხვა სარბიელი ესაჭიროება, სხვა ,,ბურთი და მოედანი", სადაც უკვე თავად გამოავლენს საკუთარ შესაძლებლობებს, აღასრულებს თავის ადამიანურ ვალს.

დედის სიტყვები: ,,მე დედა ვარ და წარმავალი, ის შვილია და მომავალი" აშკარად მიგვანიშნებს, რომ აქ არა მარტო ამ დედა-შვილის, არამედ, ზოგადად, აწმყო-მომავლის ურთიერთ მიმართების პრობლემაა წარმოჩენილი. მომავალი აწმყოსთან არ უნდა გაჩერდეს და მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს . მას თავისი გზა აქვს გასავლელი... ყოველივე ეს კი ნათელი მაგალითია იდეალური დედა-შვილური ურთიერთობისა და ცხოვრებისა.
მოსწავლეთა მიერ მომზადებული კითხვები კი შემდეგი სახისაა: (ამ კითხვებს ისინი ერთმანეთს უსვამენ, პასუხებსაც სურვილისამებრ სცემენ, შემდეგ კი ცვლიან როლებს)

კითხვები შვილებთან:

1. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მშობლებთან?
2. იმსჯელეთ თქვენი თაობის პრობლემებზე, იმაზე, ესმით თუ არა უფროსებს თქვენი.
3. როგორ ხვდებით მშობლის დარიგებას, ყოველთვის მისაღებია თქვენთვის ეს რჩევები?
4. რამდენად ხშირად გიწევთ მშობელთან ტყუილის თქმა, რა ხდება ამის მიზეზი?
5. თუ ყოფილა შემთხვევა,როცა ჩაგითვლიათ, რომ უფროსები ვერ გიგებენ, რა გრძნობა გეუფლებათ ამ დროს?

კითხვები მშობლებთან:

1. რა არ მოგწონთ ახლანდელ თაობაში და რის შეცვლას ისურვებდით?
2. რა ხდება მშობლებისა და შვილების პრობლემის მიზეზი?
3. როგორ იქცევით,როცა რაიმე პრობლემა გაქვთ შვილთან?
4. რამდენად კმაყოფილი ხართ საკუთარი შვილით და თუ არა რატომ?
5. ხართ თუ არა საკუთარი შვილის მეგობარი,რას გულისხმობთ მეგობრობაში?
6. რა არის პრიორიტეტული ბავშვის აღზრდაში და რატომ?

შეფასება: გაკვეთილის ბოლოს ვაფასებ მოსწავლეების შემდეგ უნარებს: დისკუსიაში ჩართულობის ხარისხს, დამოუკიდებელ აზროვნებას, შემოქმედებითობასა და მსჯელობის ლოგიკურ აგებას. თან ვაძლევ კითხვარს, თვითშეფასებისა და გაკვეთილის შეფასების მიზნით, რომლის ანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლეები მსგავსი ტიპის გაკვეთილებს მეტ უპირატესობას ანიჭებენ.

ISSN 1512-1801

შედეგი:
მსგავსი გაკვეთილით მოსწავლეები გახსნილად საუბრობენ საკუთარ პრობლემებზე, უფროსებთან შექმნილ სირთულეებზე და ამის აღმოფხვრის გზებსაც, რეკომენდაციებსაც თვითონვე იძლევიან. აშკარად იკვეთება მათი სულიერი სამყარო, ზნეობრივი და მორალური ფასეულობები. ყოველივე ამით უვითარდებათ ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება, ახდენენ ცოდნის ტრანსფერს , რაც ნაწარმოების საფუძვლიანად და ხალისით შესწავლის საფუძველია. ამასთანავე მშობლები სრულიად განსხვავებული კუთხით ხედავენ შვილებს და ბევრ პრობლემასაც უკეთ აგვარებენ. ყოველივე ეს კი ჩემთვის, როგორც დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლისთვის მრავლისმომცემია.

დასკვნა:
მოსწავლეებთან თანაავტორობით ჩატარებულმა გაკვეთილმა დამარწმუნა, რომ მათ ესაჭიროებათ მასწავლებელი-მზრუნველი, გარკვეულ საკითხებში პრინციპული, მაგრამ ამავე დროს მათი ინტერესების გამტარებელი და მეგობარი. ყველა ზემო ჩამოთვლილი მეხმარება სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შერწყმაში, რომელიც გამოიხატება; სწავლების ხარისხის ამაღლებაში, ნდობის, ურთიერთპატივისცემისა და ყველა იმ საკითხის მოგვარება-განმტკიცებაში, რომელიც კავშირშია მოზარდში მოქალაქეობრივი ღირებულების, მშობლებთან ურთიერთობის, სწავლის მოტივაციის ამაღლებასა და ისეთი უნარ-ჩვევების დაუფლებაში, რომელიც მათ ჩამოაყალიბებს საზოგადოებისათვის მისაღებ პიროვნებებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი"
2. ილია ჭავჭავაძის წერილები (1990:11-12)
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (2007 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი)
4. დიმიტრი უზნაძე ,,ასაკობრივი ფსიქოლოგია' თბილისი 1986 წელი.